საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/15

ქ. ბათუმი 15 -- თებერვალი, 2019 წელი

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01-11/98 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში, კერძოდ კი დანართი 1-ში, შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების შესაბამისად, რომელსაც

განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.“

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, **მისი გამოცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ცენტრის მიერ** ეგზავნება შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს, მათ მიერ შრომით ხელშეკრულებაში/შეთანხმებაში აღნიშნულ ელექტრონულ ფოსტაზე, ხოლო წერილის ასლი - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (ელექტრონულ ფოსტაზე - bsu-hr@bsu.edu.ge).“

4. პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ცენტრის მიერ დაეგზავნება შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ ბსუ-ს სამართლებრივ აქტებში შეტანილი ცვლილებების შესახებ სამართლებრივი აქტები (შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში, სხვადასხვა რეგულაციებში).“

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა **არაუგვიანეს 2019 წლის 19 თებერვლისა უზრუნველყოს:**

ა) 2018 წლის ოქტომბრიდან გამოცემული სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებების დაგზავნა შესაბამისი პერსონალისათვის და გზავნილების ასლის ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისათვის გაგზავნა (ელექტრონულ ფოსტაზე - bsu-hr@bsu.edu.ge).;

ბ) ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანების შესაბამისად შედგენილი და პერსონალის მიერ ხელმოწერილი „სამუშაო დატვირთვის შესახებ შეთანხმებების დედნების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისათვის გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენა.

4. წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ სამსახურებრივი ბარათი ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნეს არაუგვიანეს 2019 წლის 20 თებერვლისა.

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**